ხელშეკრულება #319/24

ქ. თბილისი **01 სექტემბერი 2024 წ.**

ერთის მხრივ, **შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ"** (ს/კ - 404617278), შემდგომში „მეიჯარე", მისი დირექტორის ქეთევან ლეფსვერიძის მინდობილი პირის მამუკა სონღულაშვილის (პირადი #01025000649) სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა და **შპს „სელფი მობაილ"** (ს/კ -204450584), შემდგომში "მოიჯარე", მისი გენერალური დირექტორის დიმიტრი შუღლიაშვილის მინდობილი პირის კონა ლაგურაშვილის (პირადი #01014003799) სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა, მეორეს მხრივ, შემდგომში ერთობლივად "მხარეებად", ცალცალკე კი "მხარედ"წოდებულნი, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე მიიღებს დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში (იჯარით) შენობის სახურავზე 5 კვ.მ.-ს (შემდგომში "სათავსო"), მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქ. #4 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.004.011.01.501), კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ან/და ანძის განსათავსებლად (მათ შორის ყველა დამხმარე ნაგებობის და კონსტრუქციის ჩათვლით) (შემდგომ-საბაზო სადგური).

2. მეიჯარის უფლება-მოვალეობანი

2.1 მეიჯარე საკუთარ თავზე იღებს შემდეგ მოვალეობებს:

2.1.1. მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს მოიჯარეს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში (იჯარით) წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული საიჯარო ფართი. აგრეთვე უზრუნველყოს საიჯარო ფართზე მოიჯარის მიერ საბაზო სადგურის, ანძის განსათავსებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა, ხელშეკრულების 1.1. პუნქტის მიხედვით.

2.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე არ არის დღგ-ს გადამხდელი, ის ვალდებულია წარმოუდგინოს მოიჯარეს საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

2.1.3. მეიჯარე პასუხისმგებელია საგადასახადო ორგანოებთან ყველა გადასახადის გადახდაზე, რაც დადგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

2.1.4. საშუალება მისცეს მოიჯარეს, მისი მოთხოვნით, გაიყვანოს მეიჯარის ტერიტორიაზე ხაზოვანი ნაგებობა (ნებისმიერი ტიპის კაბელი) მოიჯარის საბაზო სადგურამდე , მოიჯარის ხარჯზე. ამგვარი სამუშაოების ჩატარების დროს მეიჯარის ქონების დაზიანების შემთხვევაში, მოიჯარე კისრულობს აუნაზღაუროს მეიჯარეს აღდგენითი სამუშაოების ხარჯი.

2.1.5. მეიჯარე საშუალებას მისცემს მოიჯარეს დამატებითი საფასურის გადახდის მოთხოვნის გარეშე გაიყვანოს ელექტროკვების ერთი ძალოვანი კაბელი (სიმძლავრე 10 კვტ-მდე) იჯარით აღებულ ფართამდე ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიის ტექ. პირობის საფუძველზე.

2.1.6. უზრუნველყოს მოიჯარის (მოიჯარის თანამშრომელთა) ყოველდღიური ოცდაოთხსაათიანი დაშვება საიჯარო ფართზე და ობიექტებზე, საბაზო სადგურზე ტექნიკური მომსახურებისა, ექსპლუატაციის და მონტაჟის მიზნით, შესაბამისი ინსტრუმენტების და აღჭურვილობის შეტანის უფლებით;

2.1.7. საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მის მიერ განზრახ ან გაუფრთხილებლობით გამოწვეული ავარიის/ტექნიკური ზიანის შედეგები, რაც ხელს უშლის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებას;

2.1.8. მეიჯარე ვალდებულებას იღებს წინასწარ, წერილობითი ფორმით გააცნოს მოიჯარეს საიჯარო ფართზე შიდა და სასაშვო რეჟიმის წესები, და აგრეთვე ამ წესების ნებისმიერი დამატება და ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2.1.9. არ მოახდინოს „იჯარის საგნისა“ და მასში განთავსებული მოძრავი ნივთების ნორმალური/გამართული ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა (მათ შორის, მაგრამ არასრულად: ელექტრო ენერგიით ან სხვა სახის რესურსით მომარაგების თვითნებურად შეწყვეტა/შეფერხება, „იჯარის საგანში“ განთავსებული მოძრავი ნივთების გადაადგილება, დაზიანება ან სხვაგვარი ზემოქმედება);

2.1.10. „მეიჯარის“ განზრახი ან/და გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად „იჯარის საგანში“ განთავსებული მოძრავი ნივთების ნორმალური/გამართული ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლის ან/და დაზიანების შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს „მოიჯარეს“ ამგვარი ქმედებით გამოწვეული ზიანი;

2.1.11. მოიჯარეს ხელი არ შეეშლება იჯარის საგნით სარგებლობაში, ხოლო ხელშეშლის არსებობის შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია დაიცვას მოიჯარე ყოველგვარი ხელშეშლისგან (მათ შორის, იჯარით აღებული ფართით შეუზღუდავად სარგებლობისათვის უზრუნველყოს მოიჯარე აუცილებელი გზით);

2.2. მეიჯარეს გააჩნია შემდეგი უფლებები:

2.2.1. მეიჯარეს აქვს საიჯარო ფართზე შეღწევის უფლება სარემონტო, პროფილაქტიკური და სხვა სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით. ამასთან, მეიჯარემ დროულად და წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს მოიჯარეს მითითებული სამუშაოების ჩატარების შესახებ. მეიჯარე ვალდებულებას იღებს, ყველა ზომა მიიღოს იმისთვის, რომ მინიმალური უხერხულობა შეუქმნას მოიჯარეს.

3. მოიჯარის უფლება-მოვალეობები

3.1 მოიჯარე საკუთარ თავზე იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

3.1.1. მიიღოს დროებით მფლობელობასა და სარგებლობაში (იჯარით) მეიჯარის მიერ გადაცემული საიჯარო ფართი 2.1.1. პუნქტის შესაბამისად მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.1.2. საიჯარო ფართი გამოიყენოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის.

3.1.3. იქონიოს საიჯარო ფართი გამართულ მდგომარეობაში და სანიტარულ-ტექნიკურ, ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებთან შესაბამისობაში, ტექნიკური ექსპლუატაციისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვით.

3.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 2 თვის განმავლობაში გაუკეთოს დემონტაჟი საბაზო სადგურს და დაუბრუნოს საიჯარო ფართი მეიჯარეს გამართულ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით, მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით.

3.1.5. დროულად გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო გადასახადი წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

3.2. მოიჯარის უფლებები:

3.2.1. ყველა მოხსნადი გაუმჯობესება, განხორციელებული მოიჯარის მიერ, არის მოიჯარის საკუთრება. მოიჯარეს უფლება აქვს, დემონტაჟი ჩაუტაროს მოხსნად გაუმჯობესებს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ.

3.2.2. ამასთან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხსნადად ითვლება ის გაუმჯობესებანი, რომლებიც მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით განახორციელა და რომლებიც შეიძლება მოცილდეს საიჯარო ფართს სათავსოების კონსტრუქციული ელემენტების მთლიანობის დარღვევის გარეშე (კონსტრუქციებისა და მოპირკეთების ჩათვლით).

3.2.3. საკუთარი ხარჯებით გაატაროს დაცვის ღონისძიებები და ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია მიწის ფართის ხანძარსაწინააღმდეგო, კონდიცირების და სავენტილაციო, ავარიულ ენერგო, წყალ და თბომომარაგების სისტემებთან, მეიჯარესთან და შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით.

3.2.4. საკუთარი შეხედულებისამებრ, მეიჯარის ყოველგვარი თანხმობის ან/და ნებართვის გარეშე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეცვალოს დამონტაჟებული აპარატურის სახეობა და რაოდენობა იჯარით დაკავებულ ფართზე.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. ყოველთვიური საიჯარო გადასახადის რაოდენობა შედგება მუდმივი და ცვალებადი (იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე არ არის რეგისტრირებული ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიის აბონენტად) ნაწილებისგან: მუდმივი ნაწილი შეადგენს 620 (ექვსასოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ცვალებადი (არსებობის შემთხვევაში - როდესაც მოიჯარე არ წარმოადგენს ელექტროენერგიის მიმწოდებელი კომპანიის აბონენტს ან ქვეაბონენტს) ნაწილი მოიცავს „მოიჯარის" კომუნალურ ხარჯებს და განისაზღვრება ყოველთვიური ხარჯების მიხედვით).

4.2. მოიჯარე მეიჯარეს საიჯარო ქირას უხდის/ქირის გადახდას იწყებს მხოლოდ საიჯარო ფართის ფაქტიურად სარგებლობის დაწყების შემთხვევაში. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ საიჯარო ფართის ფაქტიურად სარგებლობის დაწყებაში იგულისხმება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ფართზე მოიჯარის ტექნიკური საშუალებ(ებ)ის ან/და მოწყობილობების განთავსების და ფუნქციონირების დაწყების პერიოდი. მხარეები ვალდებულნი არიან აღნიშნულის შესახებ (საიჯარო ფართის ფაქტიურად სარგებლობის დაწყებაზე) გააფორმონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3. „საიჯარო ქირის" გადახდის ვადის ათვლა იწყება „მხარეთა" შორის „ხელშეკრულების" 4.2. პუნქტით გათვალისწინებული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან;

4.4. „საიჯარო ქირის“ გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მეიჯარის“ საბანკო ანგარიშზე თანხის/ქირის გადარიცხვის გზით, „მოიჯარისათვის“ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში; თუ „მეიჯარე“ ფიზიკური პირია, „საიჯარო ქირის“ გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მეიჯარის“ საბანკო ანგარიშზე თანხის/ქირის გადარიცხვის გზით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;

4.5. მხარის ვალდებულება სათანადო თანხის გადახდასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, შესრულებულად ითვლება ამ მხარის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან შესაბამისი თანხის ჩამოწერის თარიღიდან.

4.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების მოქმედების გარკვეულ პერიოდში, თუ „მოიჯარე“ “მეიჯარის” მიზეზების გამო ფაქტიურად ვერ ახერხებს იჯარის საგნით სარგებლობას, „მეიჯარეს“ უფლება არ აქვს მოითხოვოს მოიჯარისაგან აღნიშნულ ვადაზე (დროის პერიოდი, როდესაც ფაქტობრივად შეუძლებელია იჯარით საგნით სარგებლობა) „საიჯარო ქირის“ გადახდა.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. მეიჯარე ვალდებულია 5.2. პუნქტში გათვალისწინებული პირობის დადგომის შემთხვევაში წინასწარ ექვსი თვით ადრე წერილობით შეატყობინოს მოიჯარეს. ამ პუნქტში აღნიშნულ პერიოდზე მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა არ განხორციელდება.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რაც გამოწვეული იქნება მეიჯარის მიზეზით, მეიჯარე იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს მოიჯარეს ის თანხა, რაც გაწეული იყო საბაზო სადგურის მონტაჟთან და დემონტაჟთან დაკავშირებით.

5.3. 5.2 პუნქტში აღნიშნული ხარჯი აითვლება მოიჯარის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციიდან, რომელიც დადასტურებული იქნება სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც დამკვეთსა (მოიჯარე) და შემსრულებელს _ მონტაჟის და დემონტაჟის განმახორციელებელ იურიდიულ პირს _ შორის ხელმოწერილი ხარჯთაღრისხვის აქტით.

5.4. 5.2. პუნქტში აღნიშნული თანხის ანაზღაურება ხორციელდება ხელშეკრულების მოშლამდე, მოიჯარის მიერ მეიჯარისათვის წარდგენილი 5.3. პუნქტში აღნიშნული შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე. საბაზო სადგურის მონტაჟი-დემონტაჟის თანხის დაბრუნების ვადაგადაცილების შემთხვევაში მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მოიჯარეს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5. მეიჯარის მიზეზით გამოწვეული ნებისმიერი ხელშეშლის ან ისეთი ვითარების დადგომის შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე სათანადოდ ვერ იყენებს საიჯარო ფართს, თუ მოიჯარის მოთხოვნის წარგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში „მეიჯარე“ ვერ უზრუნველეყოფს არსებული ხელშეშლის აღკვეთას, „მოიჯარე“ უფლებამოსილია დააკისროს „მეიჯარეს“ პირგასამტეხლო 1 თვის საიჯარო ქირის ოდენობით ან/და საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა ან განუსაზღვროს „მეიჯარეს“ დამატებითი ვადა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. პერიოდზე, როდესაც „მოიჯარე“ ვერ სარგებლობს „იჯარის საგნით“, „საიჯარო ქირა“ არ გადაიხდება. ამასთან, თუ მეიჯარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეშლის აღკვეთას, მოიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მეიჯარეს

დააკისროს 5.2 პუნტში გათვალისწინებული საბაზო სადგურის მონტაჟი-დემონტაჟის ღირებულების თანხა, რაც გადახდილ უნდა იქნას არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა. მონტაჟი-დემონტაჟის ღირებულების თანხის დაბრუნების ვადაგადაცილების შემთხვევაში, მეიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მოიჯარეს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 1 წლით და მისი მოქმედება ვრცელდება 2024 წლის 01 სექტემბრიდან და მოქმედებს 2025 წლის 01 სექტემბრამდე არსებულ პერიოდზე. თუ ამ ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე, არცერთი მხარე არ განაცხადებს წერილობით განზრახვას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

6.2. მოიჯარეს, რომელმაც სათანადოდ შეასრულა თავისი მოვალეობები, წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ აქვს უპირატესი უფლებები სხვა პირების წინაშე საიჯარო ხელშეკრულების ახალი ვადით დადებაზე.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს ვადამდე შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) მოიჯარის მიერ ნებისმიერ დროს, დაუყონებლივ, იმ შემთხვევაში, თუ „იჯარის საგანი“ აღარ არის ვარგისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისთვის.

გ) მოიჯარის მიერ ნებისმიერ დროს „მეიჯარისთვის“ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

დ) მოიჯარე ასევე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეიჯარის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო წინასწარი ორკვირიანი წერილობითი შეტყობინების გზით.

6.4. „მხარეები“ თანხმდებიან, რომ წინამდებარე „ხელშეკრულების“ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, „მოიჯარეს“ არ წარმოეშობა რაიმე სახის პირგასამტეხლოს/ჯარიმის ან/და „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდგომ დარჩენილი პერიოდზე „საიჯარო ქირის“ ანაზღაურების ვალდებულება, აგრეთვე „მოიჯარეს“ არ წარმოეშობა „იჯარის საგნით“ სარგებლობის სხვა/ახალი „მოიჯარით“ ჩანაცვლების ვალდებულება.

6.5. „მეიჯარეს“ უფლება აქვს ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება:

მოიჯარისათვის სულ მცირე 6 (ექვსი) თვით ადრე გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის გადახდილ იქნება მე-5 მუხლით გათვალისწინებული საბაზო სადგურის მონტაჟი-დემონტაჟის ღირებულება. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მსგავს შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ პირობით, თუ მეიჯარე სრულად უზრუნველყოფს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ღირებულების გადახდას მოიჯარისათვის.

6.6. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის გასვლის ან/და ნებისმიერი სხვა საფუძვლით ამ გარემოების დადგომიდან არაუმეტეს 2 (ორი) თვის ვადაში, მოიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით მოხსნას და

დაიბრუნოს „იჯარის საგანში“ მის („მოიჯარის“) მიერ განთავსებული ყველა მოძრავი ნივთი; ამ პერიოდის განმავლობაში მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით/მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ პერიოდისათვის ძალაში რჩება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ დაამტკიცებენ, რომ ეს იყო გადაულახავი ძალის მქონე გარემოებების (ფორს-მაჟორული გარემოებები), ე.ი. მოცემულ პირობებში განსაკუთრებული და აღუკვეთავი გარემოებების შედეგი, ისეთების, როგორიცაა ხანძარი, წყალდიდობა ან სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ისეთი აქტი, რომელიც მხარეს არ შეეძლო განეჭვრიტა, აღეკვეთა ან მიეღო მხედველობაში წინამდებარე ხელშეკრულების დადებისას.

7.2. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ხდება მხოლოდ იმ პერიოდში, რომლის მანძილზეც მოქმედებს მოცემული გარემოებები ან მათი შედეგები.

7.3. აღნიშნული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტისას მხარე ვალდებულია წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ 3 (სამი) დღის მანძილზე შესაბამისად მათი დადგომიდან და შეწყვეტიდან. შეტყობინება უნდა შეიცავდეს მონაცემებს გარემოებების ხასიათისა და იმ გავლენის შესახებ, რაც შესაძლოა მათ იქონიონ მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე, ასევე, ვალდებულებების შესრულების სავარაუდო ვადებს.

7.4. ზემოაღნიშნული შემთხვევებისას მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიწევს იმ ვადის შესაბამისად, რომლის მანძილზეც მოქმედებს ეს გარემოებები და მათი შედეგები.

7.5. იმ გარემოების შეწყვეტის დღიდან, რაც გახდა საფუძველი ვალდებულებების ვადის შეჩერებისა, ვადის მიმდინარეობა გრძელდება. ვადის დარჩენილი ნაწილი გრძელდება შეჩერებული დროის თანაზომიერად.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ეს გარემოებები გრძელდება 30 დღეზე მეტი ხნის მანძილზე, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების გარეშე.

8. სხვა პირობები

8.1. მეიჯარე აცხადებს, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის საიჯარო ფართი არ წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს, არ არის დაყადაღებული, არ არის გადაცემული იჯარით მესამე პირებისთვის, არ წარმოადგენს მეიჯარის რაიმე სახის უზრუნველყოფას, მათ შორის, არ წარმოადგენს თავდებობის ან სერვიტუტის საგანს, არ არის დატვირთული რაიმე სხვა სახით.

8.2. თუ დადგინდება, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პ. 8.1.-ში მოტანილი მონაცემები უსაფუძვლოა და/ან არ შეესაბამება სინამდვილეს, მეიჯარე უნაზღაურებს მოიჯარეს ზარალს, 5.2 პუნქტში გაწერილ თანხას, მათ შორის ხელიდან გაშვებულ მოგებას, რომელიც მას მიადგა მეიჯარის მიერ აღნიშნული გარანტიების დარღვევის შედეგად.

8.3. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას სრული კონფიდენციალობა ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაფორმებულია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან შეიცვალოს მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რაც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

8.6. იმ შემთხვევებში, რაც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

8.8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მხარეთა დავები უნდა გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის მანძილზე გადაეცეს განხილვისთვის ქ. თბილისის სასამართლოში.

8.9. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი მეიჯარესთვის, მეორე – მოიჯარესთვის და მესამე ეგზემპლარი რჩება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ყველა ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. მხარეთა ხელმოწერა და საბანკო რეკვიზიტები:

მეიჯარე: **შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ"** ს/კ - 404617278 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. №49 საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი" ბანკი კოდი: TBCBGE22 ანგარიშის № GE73TB7074336080100012 მეიჯარის სახელით: დირექტორის მინდობილი პირი მამუკა სონღულაშვილი	მოიჯარე: **შპს "სელფი მობაილ"** ს/კ - 204450584 იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბამბის რიგი #8 საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკი" ა/ა GE17BG0000000118376200 ბანკის კოდი: BAGAGE22 მოიჯარის სახელით: გენერალური დირექტორის მინდობილი პირი კონა ლაგურაშვილი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.07.004.011.01.501**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022064887 - 27/01/2022 12:25:26

მომზადების თარიღი
02/02/2022 14:57:24

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი	საბურთალო			
01	**10**	**07**	**004/011**	**01/501**

მისამართი: ქალაქი თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა, N 4

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**252.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **4;**
შენობა-ნაგებობები: **N1**
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: **216.00**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882021889618 , თარიღი 18/10/2021 17:22:19
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/10/2021

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/10/2021 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "თი ქეი ქონსთრაქშენ", ID ნომერი:404617278

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს "თი ქეი ქონსთრაქშენ"	საკუთრება	**ფართი**	193.00 კვ.მ.	

იპოთეკა

საგალასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022064887 თარიღი 27/01/2022 12:25:26

მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "ნიკორა ტრეიდი"206255808;
საგანი: ფართი 193.00 კვ.მ. ;
ვადა:7 წელი;

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი27/01/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/02/2022

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

თანხმობა

შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“ (ს/კ - 404617278), შემდგომში „მეიჯარე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ლეფსვერიძის მინდობილი პირის მამუკა სონღულაშვილის (პირადი სახით, რომელიც მოქმედებს თანახმად მინდობილობისა, დამოწმებული ნოტარიუს ნ. ჯანხოთელის მიერ 11.06.2021 წელს, რეგ. N 210586267, ინდივიდუალური N 33510473052121, უფლებას ვაძლევ შპს „სელფი მობაილს“ (საიდ. კოდი: 204450584), მისამართზე: ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქ. #4 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.004.011.01.501), შენობა-ნაგებობა #1-ის სახურავზე განათავსოს მობილური კავშირგაბმულობის კონსტრუქცია, ანტენები და აპარატურა, წინამდებარე თანხმობის განცხადებაზე თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად. აღნიშნული სახურავი წარმოადგენს მხოლოდ **შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“** (ს/კ - 404617278) საკუთრებას.

დანართი: შპს სელფი მობაილის განსათავსებელი კონსტრუქციის, ანტენების და აპარატურის ფოტომონტაჟი.

შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“ (ს/კ - 404617278)
დირექტორი - ქეთევან ლეფსვერიძე
მინდობილი პირი - მამუკა სონღულაშვილი (პირადი #01025000649)

4 ივლისი 2024

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241153866
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	04.09.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ნარგიზა ჯანხოთელი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი რუსთაველის გამზ. 18**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	48597422835024

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქი თბილისი, **ორი ათას ოცდაოთხი წლის ოთხი სექტემბერი.**

მე, საქართველოს ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ **თანხმობაზე (04.09.2024 წ.)**, რომელიც წარმოდგენილია ერთ ცალად, **მამუკა სონღულაშვილის** (დაბადებული 25.01.1961 წელს, რეგ. მისამართი: თბილისი, თ. აბაკელიას ქ. N 11, ბინა 8, პირადი № 01025000649) ხელმოწერის ნამდვილობას. ხელმოწერა შესრულებულია პირადად მის მიერ ჩემი თანდასწრებით. მისი ვინაობა, ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა შემოწმებულია. მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, ვამოწმებ არა დოკუმენტის სამართლებრივ შინაარსს, არამედ მხოლოდ იმას, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ეკუთვნის ზემოთაღნიშნულ მოქალაქეს.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 6.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 1.08 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 12.08 ლარი.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

33510473052121

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210586267

რეგისტრაციის თარიღი

11.06.2021 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი

მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18

ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაერთი წლის თერთმეტი ივნისი. ჩემთან, ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელთან სანოტარო ბიუროში, მდებარე თბილისი, რუსთაველის გამზ. №18, გამოცხადდა შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის (რეგისტრირებული 10.06.2021 წელს, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. გრიშაშვილის ქ. №49, კომერციული ფართი N A ს/კ 404617278) დირექტორი და 50% წილის მფლობელი პარტნიორი ქეთევან ლეფსვერიძე (დაბადებული 29.06.1969 წელს, რეგ. მისამართი: ქ. თბილისი, თ. აბაკელიას ქ. №11, ბინა 8, პირადი №01011032099). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს მამუკა სონღულაშვილს (დაბადებული 25.01.1961 წელს, პირადი №01025000649) შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B21057837. დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

მინდობილობა

ორი ათას ოცდაერთი წლის თერთმეტ ივნისს, მე, შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის (ს/კ 404617278) დირექტორი და 50% წილის მფლობელი პარტნიორი ქეთევან ლეფსვერიძე (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), შემდგომში „მიმნდობი“, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ მამუკა სონღულაშვილს (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს“, მასზედ, რომ მან მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, დააგირაოს) ჩემი კუთვნილი წილი/წილის ნაწილი შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ში. ასევე ნებისმიერი ფორმით მართოს და განკარგოს (გაყიდოს, გააჩუქოს, გააქირაოს, გასცეს იჯარით, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, დატვირთოს იპოთეკით/დააგირაოს) საზოგადოების კუთვნილი ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე საზოგადოების სახელით შეიძინოს ნებისმიერი სახის უძრავ-მოძრავი ქონება საქართველოს ტერიტორიაზე, დაარეგისტრიროს შეძენილი ქონება საზოგადოების სახელზე შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში; გააფორმოს სათანადო ხელშეკრულებები, თავად განსაზღვროს ხელშეკრულების ყველა პირობა და ხელი მოაწეროს მას, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილება ხელშეკრულებაში და/ან გააუქმოს იგი. მიიღოს ნასყიდობის/ქირავნობის თანხა.

იყოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში და ნებისმიერი ბანკის ნებისმიერ ფილიალში, საზოგადოების სახელით გახსნას და/ან დახუროს ნებისმიერი სახის ანგარიში ნებისმიერ ბანკში, მათ შორის სს „თიბისი ბანკში“, მართოს და განკარგოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ“-ის კუთვნილი საბანკო ანგარიშები ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (თანხების შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა, ვალუტის კონვერტაცია და ა.შ.) ნებისმიერ ვალუტაში, ნებისმიერი ოდენობით, გააქტიუროს/ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის, დიჯიპასის და ბანკი კლიენტის მომსახურებით, შეუკვეთოს, დაამზადოს, აიღოს პლასტიკური ბარათი, მათ შორის სახელფასო, ბარათის დაბლოკვის ან/და ბანკომატში დაკავების შემთხვევაში მოითხოვოს ბარათის უკან დაბრუნება და მიიღოს ის, გაუგრძელოს ვადა ბარათებს და შეცვალოს პინ კოდი, აიღოს, შეცვალოს და/ან აღადგინოს პაროლები, შეიძინოს ახალი და გამოიყენოს უკვე არსებული დიჯიპასი, გააქტიუროს ან გააუქმოს არსებული სერვისები, მოითხოვოს და მიიღოს კომპანიის სახელზე პოსტ ტერმინალი, სალარო აპარატი, მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, ინფორმაცია, ამონაწერი; აწარმოოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, შეავსოს და წარადგინოს დეკლარაციები, აიღოს შემოსავლების სამსახურიდან საზოგადოებისთვის განკუთვნილი სახელი და პაროლი;

მონაწილეობა მიიღოს შპს „თი ქეი ქონსთრაქშენ"-ის პარტნიორთა კრების მუშაობაში, ხმის მიცემის უფლებით, მიიღოს გადაწყვეტილებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხზე, მოაწეროს ხელი კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს.

წარმოადგინოს საზოგადოების ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მიმართებაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, შსს მომსახურების სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, შემოსავლების სამსახურში, საგადასახადო ორგანოებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს კანონით ნებადართული ხელშეკრულებები და განსაზღვროს მათი პირობები თავისი შეხედულებით; აიღოს საჭირო თანხმობები, ნებართვები, შეათანხმოს პროექტები, მოახდინოს პროექტის კორექტირება. გამოიყენოს საზოგადოების ბეჭედი, საჭიროების შემთხვევაში შეუკვეთოს საზოგადოების ბეჭედი. გამოითხოვოს, წარადგინოს, მიიღოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, ინფორმაცია, შეიტანოს განცხადებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში გამოასწოროს ნებისმიერი ხარვეზი, გადაიხადოს ხელფასები, ნებისმიერი ბაჟი, გადასახადი, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის და 50% წილის მფლობელი პარტნიორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული აქვს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს და დამფუძნებელს.

მინდობილობა, უფლებამოსილების მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირებზე გადანდობის უფლებით, გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B21057837.

გადახდილია სანოტარო საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 20.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, 3.60 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2.00 ლარი, სულ 25.60 ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი

სს **ნიკორა ტრეიდი**
ს/კ 206255808
საქართველო, თბილისი 0108, ა. მრევლიშვილის ქ. №2
ტელ.: (+995 32) 2 30 33 33
ელ. ფოსტა: info@nikoratrade.ge

JSC **NIKORA TRADE**
ს/კ 206255808
2, A. Mrevlishvili st, Tbilisi 0108, Georgia
Tel.: (+995 32) 2 30 33 33
E-mail: info@nikoratrade.ge

#647

4 სექტემბერი 2024

თანხმობა

შპს ,,თი ქეი ქონსთრაქშენის'' (ს/კ 404617278) მოიჯარე, **სს" ნიკორა ტრეიდის" (ს/კ 206255808)** აღმასრულებელი დირექტორი თემური ალექსანდრია ვაცხადებ თანხმობას მასზედ, რომ:

შპს „სელფი მობაილმა" (ს/კ: 204450584), მისამართზე: ქ. თბილისი, არჩილ მეფის ქ. #4 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.10.07.004.011.01.501), შენობა-ნაგებობა #1-ის სახურავზე, რაც წარმოადგენს მოჯარის მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებას, განათავსოს მობილური კავშირგაბმულობის კონსტრუქცია, ანტენები და აპარატურა, წინამდებარე თანხმობის განცხადებაზე თანდართული ფოტომონტაჟის შესაბამისად, იმგვარად რომ არ დაფაროს მოიჯარის სავაჭრო ობიექტის აბრა, არ დააზიანოს სახურავი და კონსტრუქციის არსებობამ არ შეუშალოს ხელი სავაჭრო ობიექტის ფუნციონირებას და არ მიაყენოს ზიანი მესამე პირებს.

დანართი: შპს სელფი მობაილის განსათავსებელი კონსტრუქციის, ანტენების და აპარატურის ფოტომონტაჟი.

აღმასრულებელი დირექტორი
თემური ალექსანდრია _____

